# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 186

ქალაქი ქუთაისი 26 აპრილი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 18 აპრილის №44-4423108355 წერილობითი მომართვის შესაბამისად:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის" 5 (ხუთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, დანართის შესაბამისად.

(დანართი წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" შორის 2022 წლის 11 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №57 ხელშეკრულების საფუძველზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აუდიტორული კომპანია ალსოს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (21.03.2022 წელი, №08/03) მიხედვით, რომელიც 1.0 კვ.მ.-ზე შეადგენს 100.0 (ასი) ლარს.

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
შემ. №--27--
27 -- 04 -- 23-

**მუხლი 3.** მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის" სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონება გამოყენებულ იქნეს კიბის უჯრედების მოსაწყობად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული პროექტების მიხედვით.

**მუხლი 4.** ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულებების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

**მუხლი 5.** კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

**მუხლი 6.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 7.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2023 წლის 26 აპრილის

№ 186 განკარგულების დანართი

პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქეების: მზია კირკიტაძის, გიორგი შარვაშიძის, ინგა ხაჭაპურიძის, ალექსანდრე ხუჯაძისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მედინიუსისათვის" სარგებლობაში გადასაცემი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი

| № | მოიჯარე | პირადი/ საიდენტი-ფიკაციო ნომერი | მისამართი | ქონების დასახელება | ფარ-თობი | საკადა-სტრო კოდი | წლი-ური საიჯა-რო ქირა (ლარი) | დანიშნუ-ლება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მოქალაქე მზია კირკიტაძე | 60001062055 | ქალაქი ქუთაისი, ზვიად გამსახურდიას გამზირი, №7-ის ჩრდილოეთით | ტროტუარი | 2.80 კვ.მ. | 03.04.21.190 | 280 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 2. | მოქალაქე გიორგი შარვაშიძე | 60002013726 | ქალაქი ქუთაისი, ასათიანის ქუჩა, №139-ის დასავლეთით | ტროტუარი | 3.47 კვ.მ. | 03.04.34.489 | 347 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 3. | მოაქალაქე ინგა ხაჭაპურიძე | 60001157008 | ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი, №85-ის ჩრდილოეთით | ტროტუარი | 10.00 კვ.მ. | 03.02.25.526 | 1000 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 4. | მოქალაქე ალექსანდრე ხუჯაძე | 53001013495 | ქალაქი ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის გამზირი, №23-ის ჩრდილოეთით | ტროტუარი | 11.67 კვ.მ. | 03.01.03.915 | 1167 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |
| 5. | შეზღუდული პასუხისმგებ-ლობის საზო-გადოება „მედინიუსი" | 412718769 | ქალაქი ქუთაისი, წერეთლის ქუჩა, №111-ის დასავლეთით | ტროტუარი | 6.0 კვ.მ. | 03.06.21.788 | 600 | კიბის უჯრედის მოსაწყობად |

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია